კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.gbg.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 6 ივნისი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

www.gbg.gov.ge

<u>გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები</u>




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
52,38%
66,09%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
27,78%
38,70%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
20,00%
13,00%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
40,74%
30,68%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
29,17%
18,50%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7,14%
47,50%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემდეგი ინფორმაცია და გამოსაწორებელი შემდეგი საკითხები:

1. ვებ-გვერდი მუშაობს, როგორც მისამართზე www.gbg.ge ასევე www.gbg.gov.ge

   აღსანიშნავია, რომ შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ოფიციალური ვებ-გვერდის დომენის აბრევეატურა (www.gbg.ge და www.gbg.gov.ge) აღარ ეხმაურება მის ახლანდელ სახელწოდებას. სასურველია, მოხდეს ვებ-გვერდის სათაურში შესაბამისი ცვლილება და დომენის სახელწოდება შეიცვალოს შესატყვისი აბრევიატურით www.gbp.gov.ge (Georgian Border Police):

2. **ინფორმაცია მინისტრის შესახებ:** სასაზღვრო პოლიციის უფროსის კომპეტენციის აღწერა; იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან უფროსს. უფროსის სამუშაო ელ.ფოსტა და ფაქსის ნომრებიც არ არის სახეზე;

3. **ინფორმაცია მინისტრის მოადგილეების შესახებ:** სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილეთა კომპეტენციის აღწერა; იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მოადგილეებს. მოადგილეთა სამუშაო ელ.ფოსტები და ფაქსის ნომრებიც არ არის სახეზე:

კონტაქტი

სასაზღვრო პოლიციის უფროსი, შს მინისტრის მოადგილე

ს/პ გენერალ-მაიორი **ზაზა გოგავა** T: (995 32) 37 34 49

სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე,
სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დირექტორი

ს/პ პოლკოვნიკი **კობა ბოჭორიშვილი** T: (995 32) 38 15 01

სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე,
საწაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი

ს/პ I რანგის კაპიტანი **ბესიკ შენგელია** T: (995 32) 38 00 52

4. **ინფორმაცია სტრუქტურასთან დაკავშირებით:** ვებ-გვერდზე შეინიშნება რიგი ხარვეზებისა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურასთან დაკავშირებულ ინფორმაცასთან მიმართებაში, კერძოდ:

- სასაზღვრო პოლიციის სისტემის სტრუქტურულ ხეზე („სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი“) მოყვანილი ინფორმაცია ნაკლულია, არ არის მოცემული იურიდიული უზრუნველყოფის ჯგუფის, საქმისწარმოების ქვეგანყოფილებისა და პროტოკოლის ჯგუფის შესახებ ინფორმაციული ბლოკი;
- არ მოიძიება უკლებლივ ყველა სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის, ფუნქციების, მიზნებისა ან/და ამოცანების აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, სამუშაო ელ.ფოსტები და ფაქსის ნომრები, აგრეთვე მათი კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ზოგადი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები:



5. საკონტაქტო ინფორმაცია:

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ფაქსის ნომერი, შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა, ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი და ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა;
- სასაზღვრო პოლიციის სისტემის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები):

საგამოძიებო-ოპერატიული სამმართველოს უფროსი

ს/პ პოლკოვნიკი **არჩილ მამაგეიშვილი** T: (995 32) 41 33 78

ინსპექციის სამმართველოს უფროსი

ს/პ პოლკოვნიკი **ბესიკ შუბითიძე** T: (995 32) 41 34 48

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი

ს/პ პოლკოვნიკი **მანანა ხვედელიძე** T: (995 32) 38 15 04

საკადრო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი

ს/პ პოლკოვნიკი **ლიანა ბიბილაშვილი** T: (995 32) 37 01 98

საქმისწარმოების ორგანიზებისა და კონტროლის სამმართველოს უფროსი

ს/პ უფ. ლეიტენანტი **თინათინ გვეტაძე** T: (995 32) 37 02 62

6. **საინფორმაციო რეესტრები:**
    - ვებ-გვერდზე არ მოიძიება სასაზღვრო პოლიციაში შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი;
    - ქვე-განყოფილებები - „ვიდეო გალერეა“ და „ოპერატიული მასალა“ ცარიელია.
    - ქვე-განყოფილებაში „განცხადებები“ უკანასკნელი ინფორმაცია თარიღდება 2008 წლის 05 ნოემბრით:

განცხადებები

5 ნოემბერი, 2008

შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსად ზაზა გოგავა დაინიშნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებულებით, შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსად ბრიგადის გენერალი ზაზა გოგავა დაინიშნა

READ MORE



3 ნოემბერი, 2008

ნატოს შემფასებელთა მისია

"სასაზღვრო რეფორმის დასრულებას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს"

READ MORE

7. **ინფორმაცია წლიური და სხვა ანგარიშების შესახებ:** არ მოიძიება სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის წლიური ანგარიში, მმართველობის სფეროს განვითარების გეგმები და მომზადებული პროგნოზები.

8. **ინფორმაცია პროგრამების და პროექტების შესახებ:** ვებ-გვერდზე არ არსებობს განცალკევებული განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სასაზღვრო პოლიცია.

9. **საკანონმდებლო ბაზა:** შეიძლება ითქვას, რომ ვებ-გვერდზე არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა. მართალია არსებობს განყოფილება სათაურად „კანონმდებლობა“, თუმცა შიგნით განთავსებული ოთხი სამართლებრივი აქტიდან - სამი მოცემულია ძველი მდგომარეობით, ხოლო ერთის ბმული არ იხსნება;
   არ მოიძიება სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, მინისტრის და ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტები, არ მოიძიება საქართველოს კონსტიტუციის ტექსტიც:



10. **ინფორმაცია „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან“ დაკავშირებით:** ინფორმაცია სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან არ არის წარმოდგენილი:

- ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება;
- არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

11. **თანამშრომელთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაცია:** ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდებისა და წახალისების შესახებ ინფორმაცია.

12. **ინფორმაცია ტენდერებისა და ვაკანსიების შესახებ:** მიუხედავად იმისა, რომ მოყვანილია შესაბამისი განყოფილებები, ვებ-გვერდზე არ არსებობს ტენდერებისა და ვაკანსიების არქივი.



13. **ინფორმაცია ხელშეკრულებების შესახებ:** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი

იქნებოდა სასაზღვრო პოლიციასა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე სასაზღვრო პოლიციასა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

14. **ფინანსური შინაარსის ინფორმაცია:** ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სასაზღვრო პოლიციის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:
    - არ მოიძიება სასაზღვრო პოლიციისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
    - არ მოიძიება ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;
    - არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/სასაზღვრო პოლიციის კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
    - არ მოიძიება სასაზღვრო პოლიციის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე).

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77,78%
2. ძიება
60,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
52,94%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
46,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
63,16%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
0,00%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
9,09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
66,67%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
58,33%
0
0,2
0,4
0,6
0,8

1. **ნავიგაცია:** ვებ-გვერდზე დატანილია ს.დ სიმბოლიკა, რომელიც სასურველია გამოიყენებოდეს როგორც საიტის თავში დასაბრუნებელი ლინკი

2. **ძიება:** ინფორმაცია ვებ-გვერდზე საკმაოდ დიდია, შესაბამისად საჭიროა დეტალური ძიების არსებობა.

3. **საკონტაქტო ფორმები და წესები:** ელექტრონული საკონტაქტო მისამართები საერთოდ არ მოიპოვება ვებ-გვერდზე გარდა pr_gbg@mia.gov.ge, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტებს.



4. **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა:** მენიუს პუნქტ ორგანიზაციაზე დაჭერით გამოდის გვერდი რომელიც ცარიელია: http://gbg.ge/?lang=geo&page=153



- ამ გვერდზე უნდა იყოს აღნიშნული, რომ გვერდი მზადების პროცესშია, ან უნდა მოხდეს ავტომატური გადამისამართება ან უნდა დაიწეროს შიდა Sub Menu;

- ფოტო გალერეა, ასევე ვიდეო გალერეა ცარიელია გაურკვეველი მიზეზების გამო;

- ასეთ ცარიელ გვერდებში უნდა დაიწეროს შესაბამისი ტექსტი, რაც უკვე ვახსენეთ ზემოთ.

დამატებითი პარამეტრები: ვებ-გვერდი მთლიანობაში არ შეესაბამა თანამედროვე სტანდარტებს. სრული ინფორმაციისთვის იხილეთ Web 2.0 სტანდარტები.

ვებ-გვერდი მუშაობს, როგორც მისამართზე www.gbg.ge ასევე www.gbg.gov.ge
მომხმარებლისთვის პრაქტიკულია მისამართების ნაირფეროვნება, მაგრამ პრობლემაა სხვადასხვა სისტემებისთვის, რომლებიც სხვადასხვა მისამართზე დადებულ საიტებს აღიქვავს, როგორც სხვადასხვა საიტს. შესაბამისად ხდება საიტების ცალ-ცალკე შეფასება, ასევე ეს ხელს უშლის საძიებო სისტემებში ოპტიმიზაციას, რადგან ამით ირღვევა კონტენტის უნიკალურობა.